

DOI: 10.52340/PUTK.2022.26.06

მასალები წმინდა მაქსიმე აღმსარებლის
“*Quaestiones ad Thalassium*”-ის
შედგენილობისათვის
და მისი გელათური თარგმანი (K-14)¹
MATERIALS ON STRUCTURE
OF *QUAESTIONES AD THALASSIUM*
BY ST. MAXIMUS THE CONFESSOR
AND ITS GELATI TRANSLATION (K-14)²

დავით იობიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

David Iobidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Quaestiones ad Thalassium (*Question to Thalassi*) is one of the most important works within the patristic legacy of St. Maximus the Confessor. The essay is of exegetical nature. In the essay, the Reverend clarifies some of the difficult passages of the Scripture. The paper is written in the form of questions and answers. Reverend Thales, who sends questions to St. Maximus, is the one who initiates the selection of texts for interpretation. There are 65 questions in total.

Quaestiones ad Thalassium was first translated by St. Euthymius the Athonite. The translation by Euthymius is incomplete. It reflects only twenty-six out of sixty-five questions and answers.

A 12th-century codex containing the works of St. Maximus the Confessor is preserved at the Kutaisi State Historical Museum. It includes twenty-four works of the Holy Father, specifically, two exegetical works, the one titled *Disputation with Pyrrhus*, ten dogmatic and polemical treatises, and eleven epistles. One of the two above-mentioned exegetical works is the text of the Georgian translation of *Quaestiones ad Thalassium*. The Gelati translation is complete. It contains sixty-five detailed questions and answers. The manuscript text is still unexamined and unpublished.

The paper discusses the structure of the *Quaestiones ad Thalassium*, taking into account both the original text and its Gelati translation. The correlation between the questions has been determined, in particular, in terms of semantics or bibliology, irrespective of whether their sequence has any underlying regularity.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (PHDF-21-5365).

² This research has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (PHDF-21-5365).

The study has found that the first thirty-five questions are not arranged by any legitimate principles, while questions 36-65 are based on the principle of bibliographical sequence, in particular, the corresponding questions and answers are always from the same book of the Bible.

საკვანძო სიტყვები: მაქსიმე აღმსარებელი, ღირსი თალასე, წმინდა წერილი, ხელნაწერი, გელათური თარგმანი.

Keywords: Maximus the Confessor, the Venerable Thales, Saint scripture, Manuscript, Gelatian Translation.

შესავალი

VII საუკუნის დიდ ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს, წმინდა მაქსიმე აღმსარებელს ღმერთშემოსილ მოძღვართა კრებულში ღირსეული ადგილი უჭირავს. წმინდა მამის ღვთივგანბრძნობილ, უცდომელ ღვთისმეტყველებას ქრისტიანული პატრისტიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი აქვს მიკუთვნებული.

წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ ფართო და მრავალმხრივია, რომელიც უკავშირდება ღვთისმეტყველების არაერთ მიმართულებას, როგორცაა: ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, ასკეტიკა, ანთროპოლოგია... თითოეული ჟანრის თხზულება გამსჭვალულია ღრმადფილოსოფიური მსჯელობებით.³ მათში ასახულია ღირსი მაქსიმეს იდეურ-მსოფლმჭვრეტელობითი სამყარო, რომლისადმი ინტერესი ძალზე დიდია სამეცნიერო წრეებში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთშიც. წმინდა მაქსიმე აღმსარებლის თხზულებებისადმი ცხოველი ინტერესიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა სპეციალური სამეცნიერო მიმართულება „მაქსიმოლოგია“. ღირსი მამა აღიარებულია როგორც არა მხოლოდ დიდი ღვთისმეტყველი, არამედ ჭეშმარიტი ფილოსოფოსიც. წმინდა მაქსიმე ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში (H-2816) სწორედ ამ ეპიტეტით არის შემკობილი: „წმიდა ნეტარი მამაჲ ჩუჴნი მაქსიმე, სრული იგი მონაზონი და ჭეშმარიტი ფილოსოფოსი...“ (ბარამიძე 1953: 203).

წმინდა მაქსიმეს თხზულებებში წარმოდგენილ საღვთისმეტყველო და ღრმადფილოსოფიურ მსჯელობებში დავანებულია და მკვეთრად გამოსჭვივის, ერთი მხრივ, მართლმადიდებლური უცდომელი მოძღვრება და, მეორე მხრივ, ქრისტიანიზებული ფილოსოფიური მსოფლმჭვრეტელობა.

შრომათა შორის გამორჩეულია პატრისტიკულ მემკვიდრეობაში კარგად ცნობილი ეგზეგეტიკური თხზულება "Quaestiones ad Thalassium" (= „თალასესადმი კითხვა-მიგება“, შემდგომში – „კითხვა-მიგება“), რომლის გელათური თარგმანი დღემდე შეუსწავლელი და გამოუცემელია. ქართული ხელნაწერის (K-14) შესწავლა-გამოცემა ემსახურება არა

³ თუმცა წმინდა მაქსიმეს შრომათა ჟანრობრივი კლასიფიკაცია პირობითია, რადგან წმ. მამა თავის მსჯელობებში ხშირად არღვევს ჟანრობრივ საზღვრებს და მიჰყვება საღვთისმეტყველო აზრის შინაგან ლოგიკას (Сидоров 1993: 59).

მხოლოდ ქართულ სამეცნიერო-ლიტერატურულ ინტერესებს, არამედ იგი აქტუალურია ბიზანტიური მწერლობის შესწავლის მხრივაც. ქართულ თარგმანებს ხშირად გადამწყვეტი როლი ენიჭება ბერძნული კრიტიკული ტექსტის დადგენაში. ამდენად, ღირსი მამის “Quaestiones ad Thalassium”-ის გელათური თარგმანის შესწავლა და გამოცემა დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. სტატიაში განვიხილავთ დასახელებული თხზულების შედგენილობას როგორც ორიგინალი ტექსტის, ისე მისი გელათური თარგმანის გათვალისწინებით.

“Quaestiones ad Thalassium” არის წმინდა მაქსიმესა და ღირსი თალასეს⁴ შორის წმინდა წერილის ზოგიერთი რთულად გასაგები ადგილის შესახებ გამართული კითხვა-მიგების შემცველი თხზულება.⁵ ინიციატივა, თუ ბიბლიის რომელი პასაჟის შესახებ წარმართოს წმინდა მაქსიმემ მსჯელობა, მოდის ღირსი თალასესგან, რომელიც თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ადგენს და აგზავნის შეკითხვებს. სწორედ ამ შეკითხვებზე აგებს წმინდა მაქსიმე აღმსარებელი თავის მსჯელობებს. თხზულებაში 65 კითხვა-მიგებაა. წმინდა წერილიდან პასაჟები განმარტებულია როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებიდან. 65 კითხვა-მიგებიდან: (ა) 1-ელი – ასკეტურ-ზნეობრივი ხასიათისა; (ბ) 41 – უკავშირდება ახალი აღთქმის ტექსტებს; (გ) 23 – ძველი აღთქმისას.

კვლევა მოიცავს ორ ძირითად ტექსტობრივ ველს: ერთი მხრივ, ორიგინალ ბერძნულ კრიტიკულ ტექსტს, ხოლო, მეორე მხრივ, თხზულების ქართული თარგმანის შემცველ გელათურ ხელნაწერს. ბერძნული კრიტიკული ტექსტისათვის ვეყრდნობით გამოცემებს: (1) Laga C., Steel C., Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium. CCSG, vol. 7, Brepols, 1980; (2) Laga C., Steel C., Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium. CCSG, vol. 7, Brepols, 1990. გელათური თარგმანისათვის ვიყენებთ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ ხელნაწერს (K-14), რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დღემდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია.

მეთოდები

ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიას განაპირობებს დასახული მიზნები და ამოცანები, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, თხზულებაში – “Quaestiones ad Thalassium” – განხილული წმინდა წერილის პასაჟების ბიბლიოლოგიურ იდენტიფიკაციას და, მეორე მხრივ, თუ როგორ არის ასახული გელათურ ვერსიაში თითოეული კითხვა-მიგება. კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ვერც ერთი დასკვნა თუ დებულება ვერ იქნება მეცნიერულად დასაბუთებული

⁴ ღირსი თალასე, იმ დროისათვის ცნობილი სასულიერო მოღვაწე, იყო კართაგენთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი (რადგანაც მონასტერი მდებარეობდა ლიბიის უდაბნოში, თალასეს „ლიბიელსაც“ უწოდებდნენ), რომელთანაც წმინდა მაქსიმეს ახლო ურთიერთობა და ეპისტოლარული მიმოწერაც კი ჰქონდა. წმინდა მაქსიმეს მისთვის მიუწერია მე-9, 26-ე, 41-ე და 42-ე ეპისტოლეები (Епифанович... 1994: 14).

⁵ სამეცნიერო ლიტერატურაში თხზულების დაწერის სავარაუდო თარიღებია მითითებული: 630-634 წწ. (Laga... 1980: Ind. IX); დასახელებული მეცნიერები ეყრდნობიან შერვუდის დათარიღებას (იხ.: Scherwood P. An Annotated Date-List of the Works of Maximus the Confessor. Roma, 1952, p. 7, 34-35) (იქვე). ეპიფანოვიჩის მიხედვით თხზულება დაიწერა დაახლოებით 637-640 წწ. (Епифанович... 1994: 14).

და მეთოდოლოგიურად გამართული, თუკი გათვალისწინებული არ იქნება ქართული ხელნაწერის შესაბამისი ორიგინალი ბერძნული ტექსტის ვითარება. შესაბამისად, ჩვენთვის ამოსავალი პრინციპია ორიგინალი ტექსტის მონაცემთა გათვალისწინება, რისთვისაც აქტიურად ვიყენებთ შედარების მეთოდს. ამ შემთხვევაში ქართულ ხელნაწერ ტექსტს ვუდარებთ ბერძნულ ორიგინალს. აღწერითი მეთოდით ვახდენთ თითოეული კითხვა-მიგების აღნუსხვას ბიბლიის წიგნთა მიხედვით, ხოლო ანალიზის მეთოდით ვცდილობთ ტექსტების თანმიმდევრულობის ლოგიკური ხაზის დადგენას როგორც ბიბლიოლოგიური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

შედეგები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა: 1) კითხვების თანმიმდევრობაში ბიბლიოლოგიური ან შინაარსობრივი ლოგიკური ხაზი პირველი 35 კითხვა-მიგების ფარგლებში არ არის დაცული; 2) ნაშრომის 36-65 კითხვა-მიგებებში ბიბლიის რომელიმე წიგნთან დაკავშირებული კითხვები ყოველთვის ერთად არის დაჯგუფებული და, ამ თვალსაზრისით, ბიბლიოლოგიური თანმიმდევრობა დაცულია.

მსჯელობა

"Quaestiones ad Thalassium"-ში კითხვა-მიგებათა თანმიმდევრობა არ არის რაიმე ლოგიკაზე დამყარებული. მაგალითად, მე-4 კითხვა-მიგებაში განმარტებულია პასაჟი მათეს სახარებიდან, ხოლო მე-5 კითხვა-მიგებაში მსჯელობა უკავშირდება დაბადების წიგნს, მე-6 კითხვა-მიგებაში კი იოანე მახარებლის I კათოლიკე ეპისტოლეს ფრაგმენტი განმარტებული. ასევე, 25-ე კითხვა-მიგება უკავშირდება პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ I-ელ ეპისტოლეს, 26-ე კითხვა-მიგებაში იერემიას წიგნიდანაა პასაჟი განმარტებული, ხოლო 27-ე კითხვა-მიგება დაკავშირებულია პასაჟებთან მათეს სახარებიდან და „საქმე მოციქულთადა“ (იხ. ცხრილი №1). ასეთ ვითარებაში არანაირი ლოგიკური ჯაჭვი არ იკვეთება, თითოეულ კითხვა-მიგებაში ბიბლიის სხვადასხვა წიგნიდანაა ტექსტები განმარტებული. მათ შორის თემატური კავშირი არ არის.

კითხვა- მიგება	წიგნი	ბერძნ. კრიტ. გამოცემა	გელათური ხელნაწერი (K-14)	კითხვა- მიგება	წიგნი	ბერძნ. კრიტ. გამოცემა	გელათური ხელნაწერი (K-14)
4	მთ. 10, 10	7: 61-63	12v-13r	25	I კორ. 11, 3-5, 10	7: 159-167	30v-32v
5	დაბ. 3, 17-19	7: 65-67	13r-14r	26	იერ. 27, ¹ 2, 8, 6, 11	7: 173-187	32v-37r
6	I იონ. 3, 9	7: 69-71	14r-14v	27	მთ. 28, 19	7: 191-201]	37r-40r

ცხრილი №1

ერთ შემთხვევაში, ექვსი კითხვა-მიგება (29-34) უკავშირდება მარკოზის სახარებასა და „საქმე მოციქულთას“. 31-ე და 32-ე კითხვა-მიგებაში განმარტებულია „საქმე მოციქულთას“ მე-17 თავის 24-ე და 27-ე მუხლები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღირსი თალასე ერთ კითხვაში არ აერთიანებს მათ. ასეთივე ვითარებაა 33-ე და 34-ე კითხვა-მიგების შემთხვევაშიც: მარკოზის სახარების მე-11 თავის 23-ე და 24-ე მუხლებთან დაკავშირებული

საკითხები ორ კითხვაშია განაწილებული, თუმცა თალასეს შეეძლო ერთ კითხვაში მოექცია ისინი. აქ კიდევ ერთი რამ იქცევს ყურადღებას: ერთი და იმავე წიგნიდან წარმოდგენილი განსამარტავი პასაჟები მიმდევრობაში არ მიჰყვებიან ერთმანეთს. მაგალითად, 29-ე კითხვა-მიგებაში მსჯელობა უკავშირდება „საქმე მოციქულთას“ წიგნს (საქ. 21, 4), ხოლო 30-ე კითხვა-მიგებაში განხილულია მუხლი მარკოზის სახრებიდან (მკ. 10, 38). 31-ე კითხვა-მიგებაში თალასე ისევ „საქმე მოციქულთას“ წიგნს უბრუნდება (საქ. 17, 24). დასახელებულ სამ კითხვას შორის თემატური კავშირი არ ჩანს: 29-ე კითხვა უკავშირდება წმინდა პავლე მოციქულის იერუსალიმში ასვლას, მიუხედავად იმისა, რომ მას სულიწმიდამ მოუწოდა, იერუსალიმში არ ასულიყო (საქ. 21, 4), 30-ე კითხვაში ღირსი თალასე ინტერესდება, თუ რა განსხვავებაა „სასუმელის შესმასა“ და „ნათლისღებას“ შორის (მკ. 10, 38), ხოლო 31-ე კითხვა დაკავშირებულია „ხელით ქმნულ ტაძარში ღმერთის მყოფობის“ საკითხთან (საქ. 17, 24). როგორც გამოჩნდა, დასახელებულ კითხვებს (29-ე, 30-ე, 31-ე) შორის ბიბლიოლოგიური ან შინაარსობრივი ლოგიკური ჯაჭვი არ არის, რასაც შეიძლება გამოეწვია კითხვების ამგვარი თანმიმდევრობა. მსგავსი ვითარებაა სხვა შემთხვევებშიც. საფიქრებელია, რომ ღირს თალასეს პერიოდულად უჩნდება კითხვები წმინდა წერილის ამა თუ იმ წიგნის ზოგიერთი ადგილის შესახებ. ამიტომაც არის, რომ, როდესაც სვამს 29-ე შეკითხვას „საქმე მოციქულთას“ 21-ე თავის მე-4 მუხლთან დაკავშირებით, მას ამ დროს ამავე წიგნის მე-17 თავის 24-ე მუხლთან დაკავშირებით არ ჰქონია რაიმე გაუგებრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უკანასკნელი პასაჟის ირგვლივ შეკითხვა იქნებოდა არა 31-ე, არამედ 30-ე. მაგრამ, როგორც ტექსტის ფაქტობრივი ვითარება გვიჩვენებს, ღირსი თალასე მოციქულთა საქმის 17, 24-ით მაშინ დაინტერესდა, როდესაც უკვე ჩაწერილი ჰქონდა შეკითხვა მარკოზის სახარების 10, 38-თან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს უკანასკნელი კითხვა-მიგება რიგში, 29-ე და 31-ე კითხვა-მიგებებს შორის, 30-ე ნომრად დგას (იხ. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის ამსახველი ცხრილი №2). შესაბამისად, სტრუქტურული თვალსაზრისით პირველი 35 კითხვა-მიგება პირობითად შეიძლება მთელი თხზულების პირველ ნაწილად გამოიყოს.

კითხვა-მიგება	წიგნი	ბერძნ. კრიტ. გამოცემა	გელათური ხელნაწერი (K-14)
29	საქ. 21, 4	7: 211-215	41v-42v
30	მკ. 10, 38	7: 219	42v-43r
31	საქ. 17, 24	7: 223	43r-43v
32	საქ. 17, 27	7: 225	43v-44r
33	მკ. 11, 23	7: 229-231	44r-45r
34	მკ. 11, 24	7: 235-237	45r-45v

ცხრილი №2

მომდევნო 30 კითხვა-მიგების არქიტექტონიკაში განსამარტავი ტექსტების მიმართ შეინიშნება ბიბლიოლოგიური მიმართების ტენდენციურობა და ლოგიკური ხაზი. ერთ შემთხვევაში ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე კითხვა-მიგება დაკავშირებულია ძველი აღთქმის წიგნებთან, სხვა შემთხვევაში განმარტებები უკავშირდება ახალი აღთქმის წიგნებს. მაგალითად, 37-42 და 57-61 კითხვა-მიგებებში განხილულია

პასაჟები ახალი აღთქმის წიგნებიდან, ხოლო 43-45, 48-56 და 62-65 კითხვა-მიგებებში მსჯელობა ძველი აღთქმის ტექსტებს უკავშირდება. მსგავსი ტენდენცია უფრო მკაფიოდაა შესამჩნევი წმინდა წერილის ერთი რომელიმე წიგნის ფარგლებში. ასეთია, მაგალითად, კითხვა-მიგების 48-53 ნაწილი, რომელშიც II ნეშტას წიგნია განმარტებული, 58-61-ში კი წმინდა პეტრე მოციქულის I კათოლიკე ეპისტოლეს პასაჟებია განხილული. განსამარტავი ტექსტების ამგვარი განაწილება, კერძოდ, ერთ რომელიმე წიგნთან დაკავშირებული კითხვების თანმიმდევრულად დალაგება მიგვანიშნებს, რომ ღირსი თალასეჯერ ერთ რომელიმე წიგნთან დაკავშირებულ საკითხებს ამოწურავს და შემდეგ გადადის სხვა წიგნზე. ამიტომაც არის, რომ 35-ე კითხვა-მიგების შემდეგ თხზულების ბოლომდე ბიბლიოლოგიური თვალსაზრისით სტაბილური თანმიმდევრობაა – ბიბლიის ამა თუ იმ წიგნთან დაკავშირებული კითხვები ყოველთვის ერთადაა დალაგებული. იქმნება იმის შთაბეჭდილებაც, რომ ღირსი თალასე, როდესაც ინტერესდება ერთი რომელიმე წიგნის პასაჟით, იქვე უჩნდება ამ წიგნიდან სხვა კითხვები და მათ ერთად აჯგუფებს. თხზულების კითხვა-მიგებათა 35-65 ნაწილში ბიბლიოლოგიური ინტერვალი არ დასტურდება, როგორც ეს არის თხზულების პირველი 35 კითხვა-მიგების ფარგლებში. ნაშრომის 36-65 კითხვა-მიგებებში ბიბლიის რომელიმე წიგნთან დაკავშირებული კითხვები ყოველთვის ერთად არის დაჯგუფებული. მსგავსი ლოგიკური ხაზის არსებობა გვიბიძგებს, თხზულების აღნიშნული მონაკვეთი (36-65 კითხვა-მიგება) მეორე ნაწილად გამოვყოთ. თხზულების ამგვარი დაყოფა, რა თქმა უნდა, ბიბლიოლოგიურ-ტექსტოლოგიურია. სპეციალურ ლიტერატურაში "Quaestiones ad Thalassium" სამ ნაწილად იყოფა:

(1) სქოლიოთათვის წინასიტყვა:⁶

„Μαζιμὸν μοναχὸν προλόγος τὸν παρακειμένον ἐν τοῖς μεταπίοις σελίδων“ (CCSG 7: 9-13).

„მაქსიმე მონაზონისა სიტყვს-დაწყებაჲ პატრისა შინა გუჭრდით მდებარეთა სხოლიონთათჳს“ (K-14, 1r-2r).

(2) „კითხვა-მიგების“ წინასიტყვა:

„Μαζιμὸν μοναχὸν πρὸς Θαλασσίου, ὁσιωτάτον πρεσβυτέρον καὶ ἡγούμενον περὶ διαφορὰν ἀπορᾶς τῆς ἀγίας γράφης“ (CCSG 7: 17-43).

„მაქსიმე მონაზონისაჲ თალასის მიმართ, ყოვლადღირსისა ხუცისა და წინამძღურისა, თითოსახეთა უღონოებათათჳს წმიდისა წერილისათა“ (K-14, 2v-10r).

(3) „კითხვა-მიგება“:

„Ἡπειδὴ ἡγάθουνε σὺ ὁ Θεὸς κελεῖσθαι μοι ἅπαν ἐῖχον σεσημειωμένα τὸν ἀποροῦμένων μοι κεφαλαίων γράψαι καὶ πέμψαι σοι, τὰ ἀναγκαϊότερά μοι φανέντα ρποῖεταῖα“ (CCSG 7: 47-513; CCSG 22: 3-325).

⁶ წმინდა მარკიმემ, ჩათვალა რა, რომ „კითხვა-მიგებაში“ ზოგიერთი საკითხი სრულად და ამომწურავად ვერ განიხილა, დაურთო მას სქოლიოები, რომლებსაც სპეციალური წინასიტყვა მიუძღვნა (Епифанович... 1994: 11-15). აღნიშნული წინასიტყვა როგორც ბერძნულ კრიტიკულ გამოცემაში, ასევე გელათურ ხელნაწერში, წინ უძღვის „კითხვა-მიგების“ ტექსტს.

„ვინაიდან სახიერ-გყო შენ ღმერთმან ბრძანებად ჩემდა, რომელნი მაქუნდეს აღნიშნულად თავნი უღონოებულნი ჩემდამო, დაწერად და წარმოცემად შენდა, უსაჭიროესად აღჩენილნი ჩემდა დავაწესენ უპირატეს“ (K-14, 10r-165v).

ქართულ საღვთისმეტყველო-სამეცნიერო სივრცეში წმინდა მაქსიმეს თხზულებებისადმი ინტერესი ათონის სალიტერატურო სკოლიდან იღებს სათავეს. ღირსი მამის შრომების პირველი ქართული თარგმანები შეუსრულებია დიდ ქართველ ღვთისმეტყველსა და მწიგნობარს – ექვთიმე ათონელს. სხვა თხზულებებთან ერთად X საუკუნის მიწურულს წმინდა ექვთიმეს უთარგმნია ღირსი მაქსიმეს *“Quaestiones ad Thalassioum”*. ექვთიმესეული რედაქცია არ ასახავს ორიგინალი ტექსტის ვითარებას. წმინდა ექვთიმეს, როგორც მისი მთარგმნელობითი მეთოდისთვისაა დამახასიათებელი, „კითხვა-მიგების“ თარგმანი შეუსრულებია თავისუფალი სტილით. მას 65 კითხვა-მიგებიდან 26 გამოურჩევია და მხოლოდ ისინი უთარგმნია, ისიც შემოკლებული სახით. ამასთან, ქართულ თარგმანში შეუტანია ფრაგმენტები სხვა ავტორების თხზულებებიდან და 65 კითხვა-მიგება 100-მდე გაუზრდია (კეკელიძე 1956: 169).⁷ „კითხვა-მიგების“ ექვთიმესეული ათონური რედაქცია შემონახულია რამდენიმე ხელნაწერით. ტექსტი დღემდე შეუსწავლელი და გამოუცემელია.⁸

XII-XIII საუკუნეებში გელათის საღვთისმეტყველო-მწიგნობრული სკოლის საგანმანათლებლო ინტერესები მიმართული იყო ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნებითი პოტენციალის ამღვლეზსავენ. როგორც ცნობილია, ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში გელათის სალიტერატურო სკოლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი გამოირჩევა თავისი ულტრალინოფილური მთარგმნელობითი მიმართულებით, რაც გულისხმობს ისეთი ქართული თარგმანის შექმნას, რომელიც მორფემულ-ლექსიკურ-სინტაქსურ დონეზე ზედმიწევნით ასახავს ორიგინალ ტექსტს. მსგავსი მთარგმნელობითი მეთოდით გელათის მწიგნობრულ სკოლაში შეიქმნა მნიშვნელოვანი თეოლოგიურ-ფილოსოფიური თარგმანები.

XII საუკუნეში გელათის სალიტერატურო სკოლაში თარგმნიან წმინდა მაქსიმე აღმსარებლის დოგმატურ-პოლემიკურ და ეგზეგეტიკურ თხზულებებს. მათ შორისაა *“Quaestiones ad Thalassioum”*. აქამდე ღირსი მაქსიმე აღმსარებლის *“Quaestiones ad Thalassioum”*-ის სრულყოფილი, ადეკვატური თარგმანი არ არსებობდა. წმინდა ექვთიმეს თარგმანი, როგორც აღვნიშნეთ, არ იყო სრული. ბუნებრივია, გელათის საღვთისმეტყველო სკოლის მწიგნობარ-მთარგმნელებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ

⁷ წმ. მაქსიმეს „კითხვა-მიგებიდან“ ექვთიმეს უთარგმნია შემდეგი ნაწილები: 1 (ქართული) = 1 (ბერძნულს), 32 = 2, 33 = 3, 34 = 4, 35 = 6, 36 = 7, 37 = 8, 38 = 9, 39 = 10, 40 = 11, 41 = 12, 42 = 18, 43 = 19, 44 = 20, 45 = 21, 46 = 22, 47 = 23, 48 = 27, 49 = 30, 50 = 33, 51 = 34, 52 = 35, 53 = 37, 54 = 39, 56 = 63, 57 = 64. ექვთიმეს თარგმანის მე-100 კითხვა-მიგებაში წარმოდგენილია წმინდა მაქსიმეს დამოუკიდებელი თხზულება „საუფლო ლოცვის განმარტება“ (კეკელიძე 1956: 170).

⁸ გამოცემულია მხოლოდ პირველი კითხვა-მიგების წმინდა ექვთიმე ათონელისა და გელათური თარგმანის ტექსტები (შჩერბაკოვი 2017: 328-338).

წმინდა მაქსიმეს აღნიშნული თხოულება. გელათელ ანონიმ მთარგმნელს⁹ შეუსრულებია ორიგინალ ბერძნულ ტექსტთან მაქსიმალურად დაახლოებული ქართული თარგმანი. იგი ულტრაელინოფილური მთარგმნელობითი სტილით შესრულებული თარგმანის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. აშკარად ჩანს სათარგმნი ტექსტისადმი მთარგმნელის დამოკიდებულება: ზედმიწევნით ასახოს ორიგინალი ტექსტის ენობრივი ვითარება. გელათური თარგმანი სამეცნიერო ხასიათისაა. იგი გამიზნულია არა ჩვეულებრივი, არამედ განსწავლული და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ტექსტებში დახელოვნებული მკითხველისთვის. ხელნაწერი ბოლონაკლულია და, შესაბამისად, უცნობია მასზე დართული ანდერძი (თუკი ჰქონდა დართული), რომელშიც, სავარაუდოდ, მოცემული იქნებოდა თარგმანთან დაკავშირებული წყარომცოდნეობით-კოდიკოლოგიური ინფორმაცია. დასახელებული გელათური თარგმანი შემონახულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ერთადერთი ხელნაწერით (ლიტერი – K-14), რომელიც XII საუკუნითაა დათარიღებული (ხოფერია & ჩანტლაძე, 2005: 63). მასში განთავსებულია წმინდა მაქსიმე აღმსარებლის თხოულებათა ქართული თარგმანები.¹⁰ ხელნაწერი შედგება 312 ფურცლისაგან, რომელშიც 1r-165v გვერდებზე განთავსებულია **“Quaestiones ad Thalassium”**-ის თარგმანი. გელათური ვერსია ადეკვატურად ასახავს ორიგინალი ტექსტის ვითარებას. მასში, როგორც ორიგინალში, გვაქვს 65 კითხვა-მიგება.

დასკვნები

წმინდა მაქსიმე აღმსარებლის თხოულება **“Quaestiones ad Thalassium”** სტრუქტურულად ამგვარად დაიყოფა: 1) პირველი კითხვა-მიგება ასკეტურ-ზნეობრივი ხასიათისაა და წმინდა წერილს არ უკავშირდება; 2) 2-35 კითხვა-მიგება და 3) 36-65 კითხვა-მიგება.

წმინდა მაქსიმეს „კითხვა-მიგების“ გელათური თარგმანი მნიშვნელოვანი წყაროა წმინდა წერილის განმარტებების ქართულენოვანი ვერსიების კვლევის საქმეში. თხოულებაში განმარტებულია წმინდა წერილის ისეთი ადგილები, რომელთა ეგზეგეტიკის ქართულენოვანი თარგმანები დღეისათვის არ მოგვეპოვება. მეტიც, წმინდა მაქსიმე განმარტავს ბიბლიის ისეთ პასაჟებს, რომლებიც პატრისტიკულ მემკვიდრეობაში საერთოდ არ არის განხილული.¹¹

⁹ სამეცნიერო ლიტერატურაში მთარგმნელად კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძეა (†1190) მიჩნეული (კეკელიძე 1980: 322), თუმცა ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა დღემდე არ გამოვლენილა.

¹⁰ ქართული ხელნაწერი კრებული შეიცავს წმინდა მაქსიმეს 24 თხოულებას: ა) „თალასესადმი კითხვა-მიგება“; ბ) „პიროსისადმი სიტყვის-გება“; გ) „საუფლო ლოცვის განმარტება“; დ) 11 ეპისტოლე (I, IV, VI, VII, VIII, IX, XI, XII, XIII, XV, XIX); ე) 10 დოგმატურ-პოლემიკური ტრაქტატი (I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, XIII, XIV).

¹¹ ასეთებია: 36-ე კითხვა-მიგება, რომელშიც განმარტებულია – II რჯ. 12, 27 [K-14, 46v-47r; Laga... 1980, 7: 243-245]; 49: II ნეშტ. 32, 2-4 [67r-72v; 7: 351-369]; 50: II ნეშტ. 32, 20 [72v-76r; 7: 379-391]; 51: II ნეშტ. 32, 23 [76r-79r; 7: 395-407]; 52: II ნეშტ. 32, 25 [79r-82v; 7: 415-427]; 53: II ნეშტ. 32, 33 [82v-85r; 7: 431-437]; 54: II ეზდ. 4, 58-60 [85r-91v; 7: 443-467]; 55: II ეზდ. 5, 41-42 [91v-101r; 7: 481-513].

“*Quaestiones ad Thalassium*”-ში მრავლადაა წარმოდგენილი ბიბლიური ციტატა და, შესაბამისად, გელათურ თარგმანში ყველა მათგანია ასახული. დაკვირვებამ ცხადყო, რომ გელათური თარგმანი ბიბლიის აქამდე ცნობილი ქართული რედაქციებისგან განსხვავებულ ვერსიას აჩვენებს. ამდენად, გელათური თარგმანის შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს ბიბლიის ქართულენოვანი რედაქციების კვლევის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბარამიძე 1953: ბარამიძე ა., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). ტ. VI, თბილისი, 1953.

იობიძე 2017: იობიძე, დ., აღწერილობა – K-14. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები. ტ. XXVII, ქუთაისი, 2017.

კეკელიძე 1956: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I, თბილისი, 1956.

კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბილისი, 1980.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდის №14 ხელნაწერი.

შერვაშავი 2017: შერვაშავი კ., წმინდა მაქსიმე აღმსარებლის – “*Quaestiones ad Thalassium*”-ის პირველი კითხვა-მიგების წმ. ევთიმე ათონელისეული და გელათური სკოლის უცნობი ავტორების თარმანები. საეკლესიო-სამეცნიერო კრებული „გრაგნილი“, ტ. V, 2017.

ხოფერია 2005: ხოფერია, ლ., ჩანტლაძე, ა., მაქსიმე აღმსარებლის გელათური კრებული და მისი ბერძნული წყარო. მრავალთავი, ტ. XXI, 2005.

Laga... 1980: Laga C., Steel C., *Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium*. Brepols: Leuven university press, 1980.

Laga... 1990: Laga C., Steel C. *Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium*. Brepols: Leuven university press, 1990.

Епифанович 2013а: Епифанович Л. Преподобный Максим исповедник, его жизнь и творения. Т. 1. Киев: Мартис, 2013.

Епифанович 2013б: Епифанович Л., Преподобный Максим исповедник, его жизнь и творения. Т. 2. Киев: Мартис, 2013.

Епифанович... 1994: Епифанович С., Сидоров А. 1994: Творения преподобного Максима исповедника, Вопросы к Фалассию. Москва: Мартис, 1994.

Сидоров 1993: Творения преподобного Максима исповедника, Богословские и аскетические трактаты. Москва: Мартис, 1993.

Сидоров 2021: Сидоров, А., Преподобный Максим исповедник, Вопросы к Фалассию. Москва: Сибирская Благовонница, 2021.